"ღმერთი შენთან არის"

1958 წლის ზაფხულის პირზე ანუ ზუსტად ორმოცი წლის წინათ გიორგი ნიშნიანიძემ მისახსოვრა ვოდსვორთის ლექსების ტომი იმ ერთადერთი სონეტის (It is a beauteous evening, calm and free...) გამო, რომლითაც მას სურდა გაეცნო და შეეყვარებინა ჩემთვის მისი იმხანად სათაყვანებელი ინგლისელი პოეტი. იმხანად იწყებოდა მეგობრების ახალი ტალღა. ეს გენიალური სონეტი, რომელიც მახსოვს დღემდე მისივე ინტონაციითურთ, ჩემს შეგნებაში სამუდამოდ დაუკავშირდა გიორგი ნიშნიანიძის პიროვნებას, დღეიდან კი იგი მისი ხსოვნის მატარებელი იქნება. ლექსში აღწერილი მშვიდი საღამო, ცის ღვთაებრივი სუნთქვა, გასეირნება, შეხება უსასრულობასთან, განცდა ქვეყნიერებისა, როგორც ტაძრისა, განცდა საკურთხევლის იდუმალებისა - იმ შორეულ დროს, რომელიც აქვეც არის, აქტუალურია, ვერის "მთიანეთში" ჩვენი ხეტიალების თანამგზავრი იყო. ლექსის შინაარსი, მუსიკა ხილული, სმენადი ხდებოდა. ჩვენც თითქოს ლექსის პერსონაჟები ვიყავით. ამ გარდაქმნებში ისკვნებოდა ჩვენი იმჟამინდელი მეგობრობა. ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთისათვის მიგვეცა ისეთი რამ, რასაც სხვაგან ან ვინმე სხვისგან ვერ მივიღებდით. მეგობრობა არ იყო მხოლოდ ურთიერთობა, იმჟამინდელი მეგობარი მეგობრის აღმზრდელი იყო. ადამიანი ადამიანში ეძებს სწორფერს - ეს ბუნებრივია. მაგრამ ადამიანი არ კმაყოფილდება სხვა ადამიანში იმით, რაც თავად მასშიც არის. ეს უნაყოფო და დამღუპველი იქნებოდა, როგორც ნარცისიზმი. ჭეშმარიტ მეგობრობას შეიძლება იმდენად საერთო რამ არ ასაზრდოებდეს, რამდენადაც სხვაობა, რომელიც ზღვარს სდებს კაცსა და კაცს შორის, სხვაობა, რომელიც ამდიდრებს ადამიანს, აფართოებს მის შინაგან გამოცდილებას. და ეს რჩება ადამიანში: ერთის ტვიფარი მეორეში. და ეს სამარადისოა, არ ეკუთვნის მხოლოდ ამ ქვეყანას, რადგან ადამიანი უკვდავია.

ვინც გიორგი ნიშნიანიძეს ახლოს იცნობდა, მას შენიშნული ექნებოდა რეალობის მისეული ხედვის და მიღება-ათვისების ერთი

თავისებურება: არაფერი, არც ერთი მოვლენა, არც ერთი შეხვედრა, რაიმე, რაც ადამიანთა ურთიერთობაში ხდება, რასთანაც მას რაიმე შეხება ჰქონია, მისთვის შემთხვევითი არ ყოფილა. ყველაფერი პროვიდენციული იყო. ყველაფრის წყარო სადღაც იყო, ყველაფერი სადღაც ინასკვებოდა. მაგრამ ამას ის არ განიცდიდა როგორც ფატალურ სინამდვილეს. არ იყო ფატალური, მაგრამ არც ჰარმონიული. ამ განცდაში რაღაც ტრაგიკული იყო. ალბათ სხვა დროსაც მომხდარა მის ცხოვრებაში სხვა დამთხვევანი, მაგრამ მე ვყოფილვარ მომსწრე, როგორ მოიცვა ერთხელ ობიექტური მიზეზებით გამოწვეული მისი სულიერი წვალება ვნების კვირეულმა და დახსნა წითელ პარასკევს ჰპოვა. ის თავის გვარსახელშიც გულისხმობდა რაღაც პროვიდენციულს, ნიშნეულს, რადგან გვარსახელსაც ინდივიდუალურად განიცდიდა. ნიშანს ნამდვილად ატარებდა იგი, თავის გამორჩეულს, თავის ინდივიდუალურ ნიშანს, რაც სამარადისოდ გაყვება მას. ის სონეტი ასე თავდება: "ღმერთი შენთან არის, როცა ჩვენ ვერ ვხვდებით ამას".